პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 44 (10438) | ოთხშაბათი, 22 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 20 თებერვალს)

მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა.

XX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციის გაშლილი პროექტის მოსამზადებლად შემდეგი შემადგენლობით:

ნ. ს. ხრუშჩოვი (თავმჯდომარე)	ნ. გ. იგნატოვი	ვ. პ. მჟავანაძე	მ. ზ. საბუროვი
ა. ბ. არისტოვი	ს. დ. იგნატიევი	ა. ი. მიქოიანი	ზ. ტ. სერდიუკი
ს. ბაბაევი	ლ. მ. კაგანოვიჩი	ნ. ა. მიხაილოვი	ა. ი. სნეჩკუსი
ნ. ი. ბელიაევი	ი. ე. კალნბერზინი	ვ. მ. მოლოტოვი	ა. ი. სტრუევი
ი. პ. ბოიცოვი	ნ. ტ. კალჩენკო	ზ. ი. მურატოვი	ვ. ვ. სუსლოვი (კრასნოდარი)
ლ. ი. ბრეჟნევი	ი. ვ. კაპიტონოვი	ი. დ. მუსტაფაევი	მ. ა. სუსლოვი
ნ. ა. ბულგანინი	ა. პ. კირილენკო	ნ. ა. მუხიტდინოვი	ფ. ე. ტიტოვი
კ. ე. ვოროშილოვი	ა. ი. კირიჩენკო	ნ. ნ. ორგანოვი	ს. ა. თოვმასიანი
ბ. გაფუროვი	ნ. ვ. კისელიოვი	ნ. ს. პატოლიჩევი	ე. ა. ფურცევა
ა. დ. დანიალოვი	ფ. რ. კოზლოვი	მ. გ. პერვუხინი	ნ. მ. შვერნიკი
გ. ა. დენისოვი	ი. გ. კუბინი	პ. კ. პონომარენკო	ა. ნ. შელეპინი
პ. ი. დორონინი	ო. ვ. კუსინენი	პ. ნ. პოსპელოვი	დ. ტ. შეპილოვი
ი. კ. ჟეგალინი	ა. ნ. ლარიონოვი	კ. გ. პისინი	ა. მ. შკოლნიკოვი
გ. კ. ჟუკოვი	გ. მ. მალენკოვი	ი. რ. რაზაკოვი	

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 20 თებერვალს)

დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

20 თებერვლის საღამოს სხდომა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **მ. ა. სუსლოვი.** პირველმა სიტყვა წარმოთქვა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ნ. შელეპინმა.** მან აღნიშნა, რომ პარტიის XX ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის საქმიანობას. ეს შეფასება ბევრ რამეს გვავალებს. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა, ამბობს ამხ. შელეპინი, პირობას აძლევენ ყრილობას, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნას, ენერგიას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდი საქმის უანგარო სამსახურს.

პარტიის XX ყრილობას კომკავშირი შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული. XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საკავშირო ალკკ წევრად მიღებულია 8 მილიონზე მეტი ჭალიშვილი და ჭაბუკი. ახლა კომკავშირი თავის რიგებში აერთიანებს 18,5 მილიონ კაცს. უკანასკნელ ხანს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ათეულ ათასობით კომკავშირელი გაგზავნეს რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების მშენებლობაზე, კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, დონბასში სამუშაოდ. პარტიის მოწოდებით 350 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი გაემგზავრა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. კომკავშირი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მეექვსე ხუთწლიდის გეგმების განხორციელებაში. ახალგაზრდობას განზრახული აქვს იკისროს ატომის ელექტროსადგურებისა და მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის — ბრატსკის ჰესის მშენებლობის შეფობა.

ამხ. შელეპინმა შემდეგ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განახორციელოს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა იმისათვის, რომ გაუმჯობესოს ახალგაზრდობის აღზრდის საქმე, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა კლუბების ქსელი, მოეწყოს ტურიზმის სრულიად საკავშირო საზოგადოება.

კომკავშირი, ამბობს თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. შელეპინი, კვლავაც გაუმჯობესებს თავის მუშაობას, რათა კიდევ უფრო კარგად აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნიზმის, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ტრიბუნაზეა ამხ. **დ. იბარური,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან XX ყრილობას გადასცა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ძმური გულითადი სალამი.

— თქვენი სახით, ამხანაგო დელეგატებო, — ამბობს ამხ. იბარური, — მე მივესალმები მთელ საბჭოთა ხალხს, ვუსურვებ მას ჯანმრთელობასა და ენერგიას იმისათვის, რომ არა მარტო შეასრულოს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დიადი ამოცანები, არამედ წარმატებით, გადაჭარბებითაც შეასრულოს ისინი. ყველა ხალხი მეექვსე ხუთწლიან გეგმას განიხილავს როგორც უდიდეს წვლილს მშვიდობის საქმეში და საბჭოთა ხალხისა და მთელი სოციალისტური ბანაკის გიგანტურ ნაბიჯს წინ, კომუნიზმის გზაზე.

ამ გეგმის შესრულება ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს მსოფლიო მუშათა მოძრაობას, ყველა ქვეყნის პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებს.

ამხ. იბარური შემდეგ აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიებისა და მუშათა ორგანიზაციებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახულ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ისეთ პრინციპულ საკითხებს, როგორიც არის ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხები. ეს დებულებები, ამბობს ორატორი, კერძოდ, ჩვენ, ესპანელ კომუნისტებს, დაგვეხმარება იმაში, რომ ბოლო მოვუღოთ ვიწრო სექტანტურ კონცეპციებს, რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებენ ჩვენს მუშაობას. ეს დებულებები დაგვეხმარება გამოვნახოთ ხელსაყრელი ნიადაგი იმისათვის, რომ გვქონდეს ურთიერთგაგება არა მარტო მშრომელ სოციალისტებთან, არა მარტო ანარქო-სინდიკალისტებთან და კათოლიკეებთან, არამედ აგრეთვე ეროვნული ბურჟუაზიის ძალებთან. ესპანელ კომუნისტთა ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა დემოკრატიისათვის ბრძოლაში ის არის, რომ მიაღწიოს მუშათა კლასის ერთიანობას და შექმნას ეროვნული ფრონტი, რომელიც გააერთიანებს მთელ ძალებს, რომლებსაც, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, სურთ პოლიტიკური ცვლილებანი ჩვენს ქვეყანაში.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. **ფ. ი. დუბკოვიცკი** (უკრაინის პარტორგანიზაცია). ჩერკასის ოლქის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელის „ზდობუტოკ ოვტნიას“ კოლმეურნეებმა, თქვა მან, მთხოვეს გადმოგცეთ თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ისტორიული ყრილობის დელეგატებს, მგზნებარე, გულითადი სალამი.

ამხ. დუბკოვიცკიმ ილაპარაკა თავისი სასოფლო-სამეურნეო არტელის წარმატებებზე. შარშან კოლმეურნეობამ ერთიორად გაადიდა მარცვლეულის, შაქრის ჭარხლისა და ხორცის წარმოება 1954 წელთან შედარებით, გაზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 27 ცენტნერი მარცვლეული და 307 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მიღებულია 386 ცენტნერი რძე თვითეულ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ხუთწლედის ბოლოს მოიყვანოს ჰექტარზე სულ ცოტა 30 ცენტნერი მარცვლეული, რძის წარმოება აიყვანოს 700 ცენტნერამდე, ხორცისა 100 ცენტნერამდე ყოველ ას ჰექტარ სახნავზე, მდელოსა და საძოვარზე.

ამხ. დუბკოვიცკიმ შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა გადაისინჯოს შაქრის ჭარხლის დამზადების ფასები, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორია კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების წესი, იმ ღრმად მოხუცებული კოლმეურნეებისათვის დახმარების დაწესებაზე, რომლებმაც დაკარგეს შრომისუნარიანობა. მან წინადადება შეიტანა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზოგიერთი მოძველებული დებულება.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ა. მ. პანკრატოვას** (მოსკოვის პარტორგანიზაცია). მან აღნიშნა, რომ კომუნისტები, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, მთლიანად ვერ ასრულებენ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს მითითებებს. უნდა ვაღიაროთ, რომ სერიოზული ჩამორჩენაა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში. ამხ. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა წინა პლანზეა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ეკონომიური მხარე, კონკრეტული ეკონომიკის საკითხები. მაგრამ ჩვენი მეცნიერი მუშაკები, ეკონომისტები დღემდე ძალიან ნაკლებად ეხმარებოდნენ პარტიას სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში. ეხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტა — აი მეცნიერი ეკონომისტების ძირითადი უბედურება. ჩამორჩენაა ისტორიკოსებს შორისაც, ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, კერძოდ, ჩამორჩენა საბჭოთა საზოგადოების შესწავლის საქმეში.

მომავალ წელს, აღნიშნავს ორატორი, სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წელი, საჭიროა ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა საზოგადოების განმაზოგადებელი ისტორია. ასეთი წიგნი, თუ მოეწყობა სერიოზული მუშაობა, წარმოადგენს არა მარტო ისტორიულ, არამედ პრაქტიკულ ინტერესს ჩვენი კადრებისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწეებისათვის. გადაუდებელია ამოცანა, რომ ნამდვილად მეცნიერულ სიმაღლეზე ავიყვანოთ დიადი კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა.

ამხ. **პ. ი. დორონინმა** (სმოლენსკის პარტორგანიზაცია) თქვა, რომ პარტიული მუშაკებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ერთ დროს სმოლენსკის ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ორგანიზატორული მუშაობა, რის შედეგადაც 1953 წელს მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაში.

ჩვენი მუშაობის სამართლიანმა ბოლშევიკურმა კრიტიკამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, განაცხადა ამხ. დორონინმა, ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესებას. ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის აღმავლობაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საოლქო ორგანიზაციებიდან და ოლქის ქალაქებიდან სოფლის რაიონებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გაგზავნილმა ორი ათასმა კომუნისტმა. კოლმეურნეობათა საქმიანობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ყოველთვიური ავანსირების დანერგვამ. ახლა ეს გამოყენებულია 1.391 კოლმეურნეობაში 1.408 კოლმეურნეობიდან. გაძლიერდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. თუ 1953 წელს საშუალო გამომუშავება ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე 288 შრომადღეს შეადგენდა, 1955 წელს იგი 380 შრომადღემდე გაიზარდა.

ლაპარაკობს რა სელის წარმოების გადიდებისათვის ოლქში გაწეულ მუშაობაზე, ამხ. დორონინი აყენებს საკითხს სელსაცეხვი მანქანების გამოშვების გაფართოებაზე, რაც შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს სელის ბოჭკოს ხარისხი.

გამოდის ამხ. **ვ. კოდოვილია,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებს გადასცემს გულითად, ძმურ სალამს. არგენტინის, ისევე როგორც ლათინური ამერიკის ყველა სხვა ქვეყნის ხალხთა მასები, ამბობს ამხ. კოდოვილია, ხედავენ, რომ მშვიდობის იმ ბრძნული და ურყევი პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები ახორციელებენ, შესაძლებელი გახდა მშვიდობის მთელი ძალების გაერთიანება მძლავრ მსოფლიო ფრონტად, რომელსაც უნარი შესწევს არ დაუშვას ახალი ომის გაჩაღება. და ამისათვის ჩვენ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში კრიზისის მოვლენების გამწვავების პერიოდში, რომლებსაც ხალხებისათვის ყოველგვარი უბედურება და გაჭირვება მოაქვთ, განაგრძო ამხ. კოდოვილიამ, თქვენ იძლევით იმ პრობლემების პროგრესულ გადაჭრას, რომლებიც ხალხებს აწუხებს. ყოველი თქვენი ნაბიჯი კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობის დაცვის ისტორიულ საქმეში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაა.

ილაპარაკა რა ამხ. ნ. ა. ბულგანინის პასუხზე ამერიკული ჟურნალის „ვიესონის“ რედაქტორის კითხვებზე, ამხ. კოდოვილიამ თქვა, რომ ამ განცხადებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა სოციალურ ფენაზე, დაწყებული პროლეტარიატით და გათავებული ეროვნული ბურჟუაზიით. ლათინური ამერიკის ხალხებისათვის კიდევ უფრო ცხადი გახდა განსხვავება იმპერიალისტური ქვეყნების ხაზსა და სსრ კავშირის ხაზს შორის: იმპერიალისტური ქვეყნები თავიანთ სავაჭრო ურთიერთობაში სხვა ქვეყნებს თავს ახვევენ პოლიტიკურ და სამხედრო პირობებს, ლახავენ ეროვნულ სუვერენიტეტს, ხოლო სსრ კავშირი წინადადებას იძლევა დამყარდეს ურთიერთობა პოლიტიკური დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის, ურთიერთსარგებლობის და თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის მტკიცე პატივისცემის საფუძველზე.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა კავშირისა და მისი მშვიდობის პოლიტიკისადმი განუხრელად ძლიერდება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყნებში ცნობილი გახდა საბჭოთა წინადადება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი — დაიდოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

თავმჯდომარე ამხ. **მ. ა.** სუსლოვი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 51 კაცი. პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. ამ წინადადებას იღებენ.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ ყველა ორატორი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ფ. რ. კოზლოვს.** მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთის, ლატვიის, სვერდლოვსკის, გორკისა და როსტოვის პარტიული ორგანიზაციების სახელით მას შეაქვს წინადადება — მიღებულ იქნას შემდეგი დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო:

„მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა“.

დელეგატები ერთსულოვნად აძლევენ ხმას ამ დადგენილების მიღებას. დარბაზში გაისმის მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამხ. სუსლოვი ამბობს, რომ არის წინადადება შეიქმნას კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო პარტიის ყრილობის რეზოლუციის გაშლილი პროექტის მოსამზადებლად და, ამრიგად, აღდგენილ იქნას კარგი პრაქტიკა, რომელიც არსებობდა პარტიის XVI ყრილობამდე ჩათვლით. ყრილობა ერთხმად ირჩევს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი (თავმჯდომარე), ა. ბ. არისტოვი, ს. ბაბაევი, ნ. ი. ბელიაევი, ი. პ. ბოიცოვი, ლ. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ბ. გაფუროვი, ა. დ. დანიალოვი, გ. ა. დენისოვი, პ. ი. დორონინი, ი. კ. ჟეგალინი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. გ. იგნატოვი, ს. დ. იგნატიევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ი. ე. კალნბერზინი, ნ. ტ. კალჩენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. კირიჩენკო, ნ. ვ. კისელიოვი, ფ. რ. კოზლოვი, ი. გ. კუბინი, ო. ვ. კუსინენი, ა. ნ. ლარიონოვი, გ. მ. მალენკოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ზ. ი. მურატოვი, ი. დ. მუსტაფაევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ნ. ორგანოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, პ. ნ. პოსპელოვი, კ. გ. პისინი, ი. რ. რაზაკოვი, მ. ზ. საბუროვი, ზ. ტ. სერდიუკი, ა. ი. სნეჩკუსი, ა. ი. სტრუევი, ვ. მ. სუსლოვი, მ. ა. სუსლოვი, ფ. ე. ტიტოვი, ს. ა. თოვმასიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, დ. ტ. შეპილოვი, ა. მ. შკოლნიკოვი.

შემდეგ ყრილობა იღებს დადგენილებას — დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

21 თებერვლის დილის სხდომა

21 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

თავმჯდომარე — ამხ. **ი. გ. კუბინი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ნ. ა. ბულგანინს.** დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. ბულგანინს.

მოხსენება, რომელსაც მთელი დილის სხდომა მოუნდა, დამსწრეებმა დიდი უურადღებით მოისმინეს. მთელი დარბაზი ერთიერთგზის გამოხატავდა მხურვალე მოწონებას.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის განსახილველად შემოაქვს პროექტი დირექტივებისა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სანამ გადავიდოდეთ მეექვსე ხუთწლედის ამოცანების გაშუქებაზე, საჭიროა შევეხოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებს და ამასთან დაკავშირებით ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ზოგიერთ პრინციპულ საკითხს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოგვცა იმ გზის მკაფიო სურათი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო პარტიის XIX ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდში. ეს პერიოდი მოიცავს გასული ხუთწლედის მეტ ნაწილს.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობისა და ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ღრმა ანალიზთან ერთად საანგარიშო მოხსენებაში სწორად და დროულად არის დასმული, ღრმად და ყოველმხრივ არის დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები — სოციალისტური და კაპიტალისტური მსოფლიო სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების შესახებ.

დიდმა ლენინმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა ფასდაუდებელი იდეური სიმდიდრე, დაასაბუთა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის გზები და მეთოდები. მაგრამ თავისი მოწაფეებისაგან იგი მუდამ მოითხოვდა, რომ ისინი პარტიის იდეური მემკვიდრეობის პასიური დამცველები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ შემოქმედებითად განვითარებინათ და გაემდიდრებინათ იგი საზოგადოებრივი განვითარების ახალი პირობების, ისტორიის ახალი ფაქტების ანალიზის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის მასების გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე.

კლასთა თანაფარდობისა და ყოველი ისტორიული მომენტის კონკრეტულ თავისებურებათა ზუსტი, ობიექტური გათვალისწინება ლენინს უთუოდ სავალდებულოდ მიაჩნდა პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთების თვალსაზრისით. თავის შესანიშნავ „წერილებში ტაქტიკაზე“, რომლებიც დაწერილია 1917 წლის აპრილში, ვლადიმერ ილიას-ძე, აკრიტიკებდა რა დოქტრინიორებს, რომლებიც ძველ თეორიულ დებულებებსა და ფორმულებს ებღაუჭებოდნენ, უკან იცქირებოდნენ და არა წინ, აღნიშნავდა: „...საჭიროა შევითვისოთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ მარქსისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ცოცხალ ცხოვრებას, **სინამდვილის** ზუსტ ფაქტებს, და კვლავინდებურად არ ჩაებღაუჭოს გუშინდელი დღის თეორიას, რომელიც, როგორც ყოველი თეორია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სახავს ძირითადს, ზოგადს, მხოლოდ **უახლოვდება** იმას, რომ მოიცვას ცხოვრების სირთულე“ (თხზ., ტ. 24, გვ. 31).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიადი ძალა ის იყო და არის, რომ იგი მუდამ მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას, იძლევა ნათელ პასუხს ახალ კითხვებზე, რომლებსაც საზოგადოების განვითარების მსვლელობა აყენებს.

ლენინისა და ლენინელებისათვის მარქსისტული თეორია ყოველთვის იყო არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის.

ამ ლენინური მოთხოვნის თვალსაზრისით ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის იმ აქტუალური საკითხების გაბედული დამუშავების მაგალითს, რომლებსაც თანამედროვე პირობებში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ როგორც ჩვენი პარტიისათვის, ისე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია ჩვენი პარტიის მომავალი მუშაობის ვრცელი პროგრამა, რომელიც გამსჭვალულია ღრმა და მტკიცე რწმენით იმ დიადი საქმის — კომუნიზმის საქმის გამარჯვებისადმი, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. და ის, რომ კამათმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ჩაიარა სრული ერთსულოვნების და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზისა და პრაქტიკული მუშაობისათვის მხურვალე მხარდაჭერის ვითარებაში, მოწმობს ამ ხაზის სისწორეს, ამ მუშაობის ნაყოფიერებას, ჩვენი პარტიის მონოლითურ ერთიანობასა და მძლავრ ძალას. **(მქუხარე ტაში).**

უკანასკნელ წლებში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაყოფიერება აიხსნება იმით, რომ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად იცავდა ლენინურ მითითებებს ჩვენს პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ.

გადაჭრით დაგმეს რა პიროვნების კულტი, რომელიც ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებას და უცხოა მისთვის, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი ყველა საკითხის გადაჭრისას, საერთაშორისო პოლიტიკას ეხებოდა ეს, ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, თუ შინაპარტიულ ცხოვრებას, საქმით ახორციელებდნენ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს. ყველა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა აზრთა ყოველმხრივი და კრიტიკული გაცვლის საფუძველზე.

კოლექტიური ხელმძღვანელობისა და პარტიული ცხოვრების ნორმების ლენინური პრინციპების კვლავაც დაცვა წარმოადგენს პარტიისათვის გარანტიას სერიოზული შეცდომების ჩადენის წინააღმდეგ და უზრუნველყოფს ჩვენთვის ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ჩვენი პარტიის ძალის წყაროა მისი ურღვევი კავშირი ხალხის ფართო მასებთან. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ პარტია ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავებისათვის ზრუნვას აყენებდა და აყენებს ყველაფერზე მაღლა. ამიტომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის მშობლიურ პარტიას და მტკიცე რწმენით მიჰყვება მას ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის არ არის მისი საქმიანობის იმაზე უფრო მაღალი მოწონება, ვიდრე ხალხის ფართო მასების ეს უსაზღვრო ნდობა და მხარდაჭერა. ამასთან ერთად, ხალხის ნდობა ბევრ რამესაც ავალებს ჩვენს პარტიას. არ დავუშვებთ წარმატებებით, არ მივეცეთ თვითკმაყოფილებასა და განცხრომას, არამედ უკეთ ვიმუშაოთ, უფრო ახლოს ვიყოთ ხალხთან — ასეთია ჩვენი ამოცანა.

გმირი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომისა და ჩვენი პარტიის გიგანტური ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, მიღწეულია დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმატებით შესრულდა, ხოლო ბევრი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა.



სწორი არ იქნებოდა საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ ეს დიდი გამარჯვება ჩვენ ადვილად და იოლად, ძალების დაუძაბავად, სიძნელეებთან უბრძოლველად მოვიპოვეთ. პარტიამ გამოავლინა დიდი ნაკლოვანებანი სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ უბნებზე — მრეწველობაშიც და, უმთავრესად, სოფლის მეურნეობაშიც. ამ ნაკლოვანებათა შესახებ მან გაბედულად და აშკარად უთხრა ხალხს, დარაზმა ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის მძლავრი ძალა, რათა უფრო სწრაფად აღმოეფხვრა ეს ნაკლოვანებანი, გამოევლინებინა და აემოქმედებინა ის უდიდესი შინაგანი რეზერვები, რომლებიც სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგშია.

ემყარება რა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის შრომითს აქტივობას, პარტიამ მეხუთე ხუთწლედში სოციალისტური მრეწველობის ახალ მძლავრ აღმავლობას მიაღწია. ხუთწლიანი გეგმის დავალება სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის დარგში შესრულდა ვადამდე, ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში. ისევე როგორც წინა ხუთწლედებში, სახალხო მეურნეობის განვითარება განვლილ ხუთწლედში წარმოებდა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის საფუძველზე. მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია უფრო მეტი ოდენობით გაიზარდა, ვიდრე დასახული იყო ხუთწლიანი გეგმით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მოხმარების საგნების წარმოების ხუთწლიანი გეგმა.

სოფლის მეურნეობა განვლილ ხუთ წელიწადში უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე დასახული იყო პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით, და ხუთწლიანი გეგმის დავალებები ამ დარგში ვერ შესრულდა.

1955 წელს იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოება წინ წავიდა. ამჟამად შეგვიძლია მტკიცე რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენში შექმნილია აგრეთვე სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის საჭირო პირობები.

გადაჭარბებით შესრულდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებები რკინიგზის, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დარგში.

შესრულდა სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ხუთწლიანი გეგმა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა წლითიწლობით, რამაც შექმნა საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ბაზა.

გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის დავალებები ნაციონალური შემოსავლის გადიდების, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდის დარგში, გადაჭარბებით შესრულდა საცალო საქონელბრუნვის გეგმა. შარშან საცალო საქონელბრუნვამ 1940 წლის დონეს ერთიორად და მეტად გადააჭარბა. ხუთწლედის მანძილზე საცალო ფასები შემცირდა 26 პროცენტით, ესე იგი უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე დასახული იყო პარტიის XIX ყრილობის დირექტივების გაანგარიშებაში.

განვლილ ხუთწლედში დიდ გაქანებას მიაღწია საბინაო მშენებლობამ. მარტო სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით აშენდა 105 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რაოდენობით აშენდა საცხოვრებელი ფართობი საწარმოთა ფონდით და სხვა არაცენტრალიზებული სახსრებით, აგრეთვე ქალაქების მოსახლეობის საკუთარი ხარჯით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით. კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ხუთ წელიწადში ააშენეს 2 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ჩვენი ქვეყნის საბინაო ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა საბინაო პრობლემა ჩვენში კვლავ მეტად მწვავეა.

განვლილი ხუთწლედი აღინიშნა სერიოზული მიღწევებით კულტურული მშენებლობის დარგში. ძირითადად შესრულდა პარტიის XIX ყრილობის დირექტივები რესპუბლიკების დედაქალაქებსა და ჩვენი ქვეყნის უდიდეს ქალაქებში საყოველთაო სავალდებულო განათლებაზე გადასვლის შესახებ. უმაღლესმა სასწავლებლებმა ბევრი სპეციალისტი მოამზადეს.

ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა მეცნიერებამ, კიდევ უფრო გაიზარდა მისი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. გაძლიერდა ჩვენი მეცნიერების საერთაშორისო ავტორიტეტი, გაფართოვდა და განმტკიცდა საბჭოთა მეცნიერების კავშირი სხვა ქვეყნების მეცნიერებთან.

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე აშენდა ბევრი ახალი საავადმყოფო, დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი, საბავშვო დაწესებულებანი. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში შობადობის მაღალი დონე იყო და სისტემატურად მცირდებოდა მოსახლეობის სიკვდილიანობა, რომელიც 1940 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად შემცირდა.

საგარეო ვაჭრობის დარგში საბჭოთა კავშირი განვლილ ხუთწლედში კვლავ ახორციელებდა ყველა ქვეყანასთან ეკონომიური ურთიერთობის ურთიერთსასარგებლო გაფართოების პოლიტიკას. შარშან ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ თითქმის ერთიორად გადააჭარბა 1950 წლის დონეს. გაფართოვდა და განმტკიცდა ჩვენი საგაჭრო ურთიერთობა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან. 1955 წელს ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მოცულობამ მიაღწია 19,5 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 10,6 მილიარდი მანეთისა 1950 წელს.

ვაჭრობა ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო მათი ზეგავლენით დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებიც დისკრიმინაციულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესაზღუდავად და შესაწყვეტადაც კი. მიუხედავად ამისა, ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის დაინტერესება იმით, რომ მოგვყიდოს თავისი და შეისყიდოს ჩვენი საქონელი, მაინც მნიშვნელოვანი იყო და ვაჭრობა მათთან არათუ არ შემცირებულა, არამედ არსებითადაც კი გადიდდა.

წარმატებით განახორციელა რა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, ჩვენმა ქვეყანამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზაზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, განმტკიცდა მისი საერთაშორისო მდგომარეობა.

მეხუთე ხუთწლედში საბჭოთა კავშირმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა არა მარტო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, არამედ თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაშიც, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა და განმტკიცდა დიადი სოციალისტური ბანაკი. ქვეყნები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ, წარმატებით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას სახელმწიფო გეგმების საფუძველზე. პირველ ხუთწლედს ენთუზიაზმითა და მძლავრი გაქანებით ახორციელებს დიდი ჩინელი ხალხი. პერსპექტიულ გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ალბანეთი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. თავიანთი ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

სოციალისტური მშენებლობის გზაზე წარმატებით მიდიან იუგოსლავიის ხალხები.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები უდიდესი კმაყოფილების გრძნობას ჰგვრიან საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს ერთგულ მეგობრებს — სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშრომელებს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ეს შედეგები მოიტანა შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხის დიდმა დაძაბულმა მუშაობამ, ხალხისა, რომელსაც აღაფრთოვანებს და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

I.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაგვიტოვა თავისი ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ვიმუშაოთ, თუ არა გვაქვს გეგმა, გათვალისწინებული ხანგრძლივი პერიოდისათვის და სერიოზული წარმატებისათვის. ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისა და განხორციელების ჩვენი პრაქტიკა ლენინის ამ მითითების შესრულებაა.

ჩვენი გეგმების რეალობა დადასტურებულია ცხოვრებით. ყოველი ხუთწლედის შემდეგ საბჭოთა კავშირი ადიოდა თავისი ეკონომიური განვითარების ახალ საფეხურზე, უფრო მდიდარი და ძლიერი ხდებოდა, ხოლო მისი საერთაშორისო ავტორიტეტი სულ უფრო იზრდებოდა. სოციალისტური გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობანი საშუალებას გვაძლევენ დავსახოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სულ უფრო ფართო ამოცანები.

მეექვსე ხუთწლედს საბჭოთა კავშირი იწყებს ისეთ პირობებში, როცა მას აქვს მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური წარმოება, დიდი მატერიალური რესურსები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჰყავს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ახლა მოეპოვება პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია, არის ყველა პირობა იმისათვის, რომ სწრაფი ტემპებით განვავითაროთ არა მარტო წარმოების საშუალებათა წარმოება, არამედ სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაც, მნიშვნელოვნად გავამრავლოთ საზოგადოებრივი სიმდიდრე და ამით ახალ წარმატებებს მივაღწიოთ კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტი შემუშავებულია მეცნიერულ საფუძველზე იმ ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს წარმოების სოციალისტურ წესს.

ისევე როგორც წინათ, წამყვანი როლი სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებაში ექნება მრეწველობას და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიას, წარმოების საშუალებათა წარმოებას. თუ არ არის მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდა, შეუძლებელია უზრუნველვყოთ გაფართოებული კვლავწარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი, საწარმოო ძალების შეუჩერებელი განვითარება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, შეუძლებელია უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის უძლეველი თავდაცვისუნარიანობა, გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა. ამას გვასწავლის მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია, ამას ადასტურებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მთელი ისტორიული გამოცდილება.

მტკიცედ და განუხრელად ვახორციელებთ რა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ლენინურ გენერალურ ხაზს, ჩვენ მოვიპოვეთ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — გადავაქციეთ ჩვენი, წარსულში ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა პირველხარისხოვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს მსხვილი, მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობა, ავამენეთ სოციალისტური საზოგადოება და განუხრელად, მტკიცე რწმენით მივდივართ წინ, კომუნიზმისაკენ. **(ტაში).**

ჩვენი ეპოქის განმასხვავებელი ნიშანია ტექნიკის უმაგალითო სწრაფი განვითარება წარმოების ყველა დარგში. თუ XIX საუკუნე უპირატესად ორთქლის საუკუნე იყო, XX საუკუნე — ელექტრობის საუკუნე, ჩვენს თვალწინ იქცევა ატომის ენერგიის საუკუნედ, რომელიც საწარმოო ძალების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს შეიცავს.

XX საუკუნის უდიდესი აღმოჩენა, ატომის ენერგია ჩვენ, კომუნისტებმა, სავსებით უნდა ჩავაყენოთ იმ საქმის სამსახურში, რომლის განხორციელება ჩვენი პარტიის პროგრამის საბოლოო მიზანია — ჩავაყენოთ კომუნიზმის აშენების საქმის სამსახურში. **(ტაში).** ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებით ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყნებზე წინ არის. ეს წამყვანი როლი ჩვენ მომავალშიც უნდა შევინარჩუნოთ.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა, როგორც მოგეხსენებათ, ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე გასულ წელს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოხატულება ჰპოვეს მეექვსე ხუთწლედის შესახებ დირექტივების პროექტშიც, სადაც დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ სწრაფი ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ამ საფუძველზე მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას.

მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის განხორციელება.

სურსათზე მოსახლეობისა და ნედლეულზე მსუბუქი და კვების მრეწველობის მზარდი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის გაიკეთებით უფრო სწრაფად, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში, უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა. მკვეთრად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობა, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი ზრდა, ტექნიკის სწრაფი პროგრესი და შრომის ნაყოფიერების გადიდება მთავარი პირობებია, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ წარმატებით განვახორციელოთ ახალ ხუთწლედში სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანი — განუხრელად ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მისი კულტურული დონე.

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზებზე დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გაგრძელება

ეს პრობლემა წარმოშობილია რევოლუციამდელი მემამულურ-კაპიტალისტური რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების ღრმა ისტორიული ჩამორჩენით იმ დროის მოწინავე ქვეყნებისაგან.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე სტატიაში „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას“ მთელი სიმწვავით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამ ამოცანამ გამოხატულება ჰპოვა ლენინის მთელ რიგ მითითებებში იმის შესახებ, რომ განგვევითარებინა მძიმე მრეწველობა როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი საწარმოო ძალების აღმავლობისა და ეკონომიურად მძლავრ სახელმწიფოდ ჩვენი სამშობლოს გადაქცევის აუცილებელი პირობა.

პირველი ორი ხუთწლედის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით უკვე მაშინ მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. ამით შეიქმნა პირობები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცა პარტიის XVIII ყრილობას 1939 წლის მარტში დაესახა ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ესე იგი გავუსწროთ ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმამ, ჩვენთვის თავსმოხვეულმა მძიმე ომმა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიაყენა და 10-11 წლით შეწყვიტა სსრ კავშირის ამ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა.

ახლა, როცა ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ მეურნეობის ომამდელი დონე, არამედ კიდევაც შორს წავიწიეთ წინ, ჩვენი ხალხი სსრ კავშირის ძირითად ეკონომიურ ამოცანას გადაწყვეტს უკვე არა იმ პირობებში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომამდე იყო. ვითარება ახლა სხვაა, უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის. საბჭოთა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ბევრად გაიზარდა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციამ გასულ წელს სამნახევარჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1939 წლის დონეს, როცა პრაქტიკულად დასვა ძირითადი ეკონომიური ამოცანა. ზრდიდა რა წლითიწლობით თავის ეკონომიურ ძლიერებას, საბჭოთა კავშირმა წარმოების აბსოლუტური ოდენობით შორს მოიტოვა უკან ევროპის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები.

სახავს რა ამოცანას — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ჩვენი პარტია, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს, რომ ომისშემდგომ დროში ამ ქვეყნების ეკონომიკაც არ იდგა ერთ ადგილზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა დაახლოებით ერთიორად ომამდელ დონესთან შედარებით. წარმოება გაიზარდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ჩვენ ვიცით, რომ ეს ზრდა განპირობებული იყო დროებითი, წარმავალი ფაქტორებით, რომ იგი ცალმხრივი და უაღრესად მერყეევია, მოიცავს, უმთავრესად, მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ეკონომიკის მილიტარიზაციასთან, რომ იგი კი არ სპობს, არამედ, პირიქით, აფერხებს წარმოების კაპიტალისტური წესისათვის დამახასიათებელ ძირითად წინააღმდეგობებს. ყველაფერი ეს უდავოა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად ახლა დაგჭირდება წარმოების ზრდის გაცილებით მეტი მასშტაბები, ვიდრე ის მასშტაბები, რომლებიც დასახული გვქონდა ომამდე.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში ახლანდელი ეტაპის თავისებურება აგრეთვე ის არის, რომ, ომამდელი დროისაგან განსხვავებით, ამ ამოცანას ჩვენი ქვეყანა წყვეტს დიად ისტორიულ ეპოქაში, როცა უკვე ერთი სოციალისტური ქვეყანა კი არ ეჯიბრება კაპიტალისტურ სამყაროს, არამედ მიმდინარეობს **ორი მსოფლიო სისტემის** — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება.

ევროპისა და აზიის მოსახლეობის თითქმის ნახევარი საბოლოოდ და სამუდამოდ ჩამოსცილდა კაპიტალიზმს. მთელი კაცობრიობის მესამედზე მეტი მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. ამ ფაქტს უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მეურნეობის მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში შემავალი ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში, რა თქმა უნდა, არსებობს საკუთარი თავისებურებანი, რომლებიც გამომდინარეობენ როგორც მათი ისტორიული წარსულიდან, ისე აგრეთვე თვითეული ქვეყნის სპეციფიკური პირობებიდან. მაგრამ მიუხედავად მთელი თავისებურებისა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ერთმანეთს შორის საერთო აქვთ ძირითადში, მთავარში. საერთო ის არის, რომ ყველა ეს ქვეყანა მიდის სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით; ყველა ამ ქვეყანაში ხელისუფლებას სათავეში უდგას მუშათა კლასი, რომელსაც კავშირი აქვს გლეხობასთან და რომელსაც ხელმძღვანელობს მარქსისტული პარტია.

სოციალისტური ბანაკის სუვერენული ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთ მეგობრული თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის დარგები ვრცელი და მრავალფეროვანია. ეს თანამშრომლობა გამოიხატება საერთო ინტერესებისათვის ეკონომიური რესურსებისა და საწარმოო სიმძლავრეების ყველაზე რაციონალური გამოყენებით, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების გეგმების კოორდინაციით, წარმოების სპეციალიზაციითა და კოოპერირებით, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაცვლით და სხვ. ეს მეგობრული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება წყაროა კრიზისებისაგან, უმუშევრობისაგან და კაპიტალისტური სისტემის დამახასიათებელ სხვა უკურნებელ მანკიერებათაგან თავისუფალი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური ძლიერებისა, რომელიც იზრდება, და მტკიცდება.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მთელი რიგი ქვეყნები რომ ჩამოსცილდნენ კაპიტალისტურ სისტემას, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობის სფერო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ჩვენს თვალწინ იხგრევა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, რომლის გარდუვალ მარცხს ასე შორსმჭვრეტელურად ითვალისწინებდა ლენინი.

მაშასადამე, კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც მთელ სოციალისტურ ბანაკს, უდიდესი უპირატესობა აქვს. გადამწყვეტი უპირატესობა ის არის, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს საწარმოო ძალების განვითარების, მილიონობით მშრომელთა — საზოგადოების ყველა მატერიალური სიკეთისა და სულიერი ფასეულობის შემოქმედთა ნიჭისა და უნარის გაფურჩქნის უფართოეს შესაძლებლობებს.

იმისათვის, რომ ეს გიგანტური, ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოვიყენოთ, საჭიროა მტკიცედ გავაუმჯობესოთ და სრულყოთ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი მუშაობა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში. თავის დროზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მხურვალე სურვილს გამოთქვამდა, რომ ჩვენი ყრილობების ტრიბუნაზე მეტი გამოსულიყო ინჟინერი და აგრონომი, რომ ყრილობები და თათბირები გამხდარიყო სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოები, სადაც ჩვენ შევძლებდით ჯეროვნად გვესწავლა სამეურნეო მშენებლობა. ლენინის ეს სურვილი პარტიამ და საბჭოთა ხალხმა განახორციელეს.

შეხედეთ, ამხანაგებო, ჩვენს ყრილობას, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების საქმიან და კონკრეტულ განხილვას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაობის პრაქტიკულ საკითხთა იმ დეტალურ გარჩევას, რომელიც მოცემული იყო დელეგატთა გამოსვლებში.

ამით თავი იჩინა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის უდიდესმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, რომელიც უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი სიმტკიცით მიაპყრობს ჩვენი კადრების ყურადღებას წარმოების ეკონომიკის საკითხებს, მოწინავე გამოცდილების შესწავლას, ამ გამოცდილების მასობრივი მასშტაბით გავრცელებას. მეტი კონკრეტულობა! ამ ლენინურ პრინციპს ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს არის ახლა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში მთელი ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანა.

კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ორი სისტემის ისტორიულ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს სოციალისტური სისტემა, როგორც უფრო პროგრესული. მაგრამ გამარჯვება, რა თქმა უნდა, თავისით როდი მოვა. რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა კვლავაც შევინარჩუნოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მაღალი ტემპები, წინ ვუსწრებდეთ სხვა ქვეყნებს ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში, დაუცხრომლად ვაუმჯობესებდეთ ჩვენს ყოველდღიურ ორგანიზატორულ მუშაობას.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს და ამასთან ერთად ხელს შეუწყობს დიდი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ განვითარებას, მეურნეობის მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებას.

II.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება მეექვსე ხუთწლედში. ამოცანები მრეწველობის დარგში

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება მეექვსე ხუთწლედში 65 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ 1960 წელს — მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელ წელს — ჩვენი ქვეყანა მიიღებს სამჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე 1950 წელს, და 5,3-ჯერ მეტს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

მრეწველობის დარგში მეექვსე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანები ის არის, რომ პირველ რიგში წინ წავწიოთ შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, უზრუნველვყოთ ელექტროსადგურების მშენებლობის წინმსწრები ტემპები და მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით თანამედროვე ჩარხების, სამჭედლო-საწნეხე მანქანების, ავტომატიკის საშუალებებისა და ხელსაწყოების წარმოების სწრაფი ზრდა.

მთლიანად მეექვსე ხუთწლედში წარმოების საშუალებათა წარმოება („ა“ ჯგუფი) გადიდდება დაახლოებით 70 პროცენტით. 1940 წელთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოება 6,6-ჯერ გაიზრდება.

მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ზრდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობა შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ.

მოხმარების საგნების წარმოება დაახლოებით 60 პროცენტით გადიდდება. 1960 წელს მოხმარების საგნების წარმოება („ბ“ ჯგუფი) სამნახევარჯერ გაიზრდება 1940 წელთან შედარებით.

1960 წელს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი აწარმოებდეს იქნება მეტ ფოლადს, ელექტროენერგიას, ცემენტს, სათბობს, ვიდრე ამჟამად აწარმოებენ მათ ინგლისი, საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია ერთად. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად მიუახლოვდება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ჩვენი პარტია ყოველთვის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს **შავ მეტალურგიას**, რომელზეც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება.

მეექვსე ხუთწლედისათვის ჩვენ ვისახავთ ამოცანას — მნიშვნელოვნად ავამაღლოთ შავი ლითონების წარმოების მიღწეული დონე. 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ იქნება დაახლოებით 53 მილიონი ტონა თუჯი, ანუ 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 68 მილიონი 300 ათასი ტონა ფოლადი, ანუ 3,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 52 მილიონი 700 ათასი ტონა ნაგლინი, ანუ 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ გავადიდოთ შავი ლითონების წარმოების მოცულობა. მეექვსე ხუთწლედში მეტალურგებმა მკვეთრად უნდა გაადიდონ ლეგირებული და დაბალლეგირებული ფოლადების, ელექტროფოლადებისა და სხვა სახეობათა ხარისხოვანი ლითონის წარმოება, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე ძლიერ უნდა გავაფართოოთ ლითონპროდუქციის სორტამენტი და გავადიდოთ ნაგლინის ყველაზე ეკონომიური პროფილების წარმოება. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ლითონის რესურსები, შევამციროთ მანქანებისა და ლითონკონსტრუქციების წონა, შევქმნათ უფრო სრულყოფილი მოწყობილობა.

მეხუთე ხუთწლედში მეტალურგებმა ცოტა შრომა როდი გასწიეს იმისათვის, რომ მეტი ლითონი მიეღოთ მოქმედ აგრეგატებზე. ამან კარგი შედეგები მოგვცა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შავ მეტალურგიაში ჯერ კიდევ არის დიდი რეზერვები.

მარტო მოქმედ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზით მეტალურგებმა მეექვსე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანას უნდა მისცენ თუჯის დასახული ნამატის მესამედზე მეტი და ფოლადის ნამატის დაახლოებით ნახევარი.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზული ყურადღება მიექცევა **ფერადი მეტალურგიის** განვითარებას.

დიდძალი სპილენძი, ტყვია, ალუმინი დაგვჭირდება ახალი ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელებისათვის, კავშირგაბმულობის კაბელის ხაზებისათვის, აკუმულატორებისათვის, რკინიგზების ელექტროფიკაციისა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებებისათვის. ნიკელის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ნიობიუმისა და სხვა ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების გადიდება საჭიროა ლეგირებული ფოლადებისა და სიცხეგამძლე შენადნობთა წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც იხმარება მაღალი წნევის ორთქლის ტურბინების, გაზის ტურბინებისა და სხვა ვანქანების გასაკეთებლად.

ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება აბალ ხუთწლედში უნდა განვითარდეს სწრაფი ტემპით, როგორც ეს გათვალისწინებულია დირექტივების პროექტით. მეექვსე ხუთწლედში ფერადი ლითონების წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ბევრად უნდა გადააჭარბოს წარმოების მატებას წარსულ ხუთწლედებში.

იმისათვის, რომ გავადიდოთ ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება, საჭიროა განვავითაროთ მადნეულის ბაზა, გავაუმჯობესოთ ნედლეულის კომპლექსური გამოყენება, უზრუნველვყოთ ლითონების უფრო სრულად მიღება მადნეულიდან.

ფერადი მეტალურგიის მუშაკთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გაადიდონ მაღალი სიწმინდის ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება, რომლებიც საჭიროა ელექტრონიკის, რადიოტექნიკის განვითარებისათვის და სიცხეგამძლე შენადნობთა წარმოებისათვის.

სათბობის მრეწველობა. 1955 წელს ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსში ქვანახშირის წილად მოდიოდა 65 პროცენტი, ნავთობის წილად — 22.5 პროცენტი, ბუნებრივი გაზის წილად — 2,5 პროცენტი. როგორც ხედავთ, ნავთობს, და განსაკუთრებით გაზს, სათბობის ბალანსში მცირე ხვედრითი წონა აქვს. ამავე დროს გაზი და ნავთობი ყველაზე იაფი და ეფექტიანი სახეობის სათბობია. მაგალითად, ბუნებრივი გაზის მოპოვების თვითღირებულება 8-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვანახშირის ამოღების თვითღირებულება. გარდა ამისა, ნავთობი და გაზი ძვირფასი ნედლეულია ბევრი ქიმიური პროდუქტის მისაღებად.

ამასთან დაკავშირებით აღებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების ყოველი ღონისძიებით დაჩქარების კურსი. დირექტივების პროექტით 1960 წელს ქვანახშირის ამოღება გათვალისწინებულია გადიდდეს 1955 წელთან შედარებით 52 პროცენტით, ნავთობის ამოღება — 91 პროცენტით და გაზისა — თითქმის 4-ჯერ.

ამჟამად საბჭოთა კავშირს აქვს ძლავრი და ტექნიკურად აღჭურვილი **ქვანახშირის მრეწველობა.**

მაგრამ მეხუთე ხუთწლედში ქვანახშირის ამოღება ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, რაც სიძნელეებს ქმნიდა საწარმოებისა და ტრანსპორტის მომარაგებაში სათბობით. შეუფარდებლობა ქვანახშირზე მოთხოვნილებასა და მის ამოღებას შორის განსაკუთრებით იგრძნობოდა სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში.

დასახულია 1960 წელს ამოვიღოთ 593 მილიონი ტონა ქვანახშირი, ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს. ეს მეტად სერიოზული ამოცანაა, რომლის შესრულება საშუალებას მოგვცემს არა მარტო დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ქვანახშირზე, არამედ კიდევაც გავადიდოთ ქვანახშირის სახელმწიფო მარაგი.

იმ მიზნით, რომ მკვეთრად შემცირდეს ქვანახშირის შორს გადაზიდვა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონებიდან ევროპულ ნაწილში, გათვალისწინებულია დონბასის ქვანახშირის მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარება.

ჩვენი ქვეყნის სათბობით უზრუნველყოფაში დონეცის ქვანახშირის აუზი წინანდებურადვე ფრიად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. 1960 წელს ქვანახშირის ამოღებამ დონბასში უნდა შეადგინოს 212 მილიონი ტონა, ანუ 77 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1955 წელს. მაგრამ რადგან დონეცის ქვანახშირი ძვირია, მისი ამოღება უფრო ძნელი, ხოლო თვითღირებულება დიდი, დონბასში ქვანახშირის ამოღების შემდგომ განვითარებასთან ერთად უნდა გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ენერგეტიკული ბაზა უკრაინაში აგრეთვე სხვა წყაროების გამოყენების გზით.

ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი, რომ ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ უკრაინაში ქვანახშირის ისეთი საბადოები, როგორიც არის ალექსანდრიისა კიროვოგრადთან, ლვოვ-ვოლინსკისა, აგრეთვე დნეპრის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთის ოლქების სხვა საბადოები.

ყოველი ღონისძიებით უნდა გამოვიყენოთ უკრაინაში არსებული ჰიდროენერგიისა და ბუნებრივი გაზის რესურსები.

დნეპრისა და კახოვკის მოქმედი ჰიდროელექტროსადგურებს გარდა, მეექვსე ხუთწლედში აშენდება კრემენჩუგისა და დნეპროძერჟინსკის ჰიდროელექტროსადგურები და დაიწყება კანევის სადგურის მშენებლობა. გათვალისწინებულია აგრეთვე მნიშვნელოვნად განვითარდეს ბუნებრივი გაზის მოპოვება დასავლეთ უკრაინაში.

მთავრობამ დაავალა სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთხელ კიდევ განიხილოს უკრაინაში ჰიდრორესურსების გამოყენების საკითხი. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

უკრაინაში ჰიდროენერგეტიკისა და გაზის მოპოვების განვითარებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს აფართოებს ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს და საშუალებას გვაძლევს შევცვალოთ დონეცის ძვირადღირებული დიდძალი ქვანახშირი უფრო იაფ სახეობათა სათბობით.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში მეექვსე ხუთწლედში ამუშავდება ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო, ელექტროსადგური და გაჩაღდება ახალი რკინიგზების მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნილება კოქსად და ენერგეტიკულ ქვანახშირზე.

აღმოსავლეთ რაიონებში ასეთი ქვანახშირის უმდიდრესი მარაგია და არის შესაძლებლობა ვაშენოთ შახტები ნაკლები კაპიტალური დანახარჯებით და მივიღოთ უფრო იაფი ქვანახშირი, ვიდრე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ქვანახშირია, ამავე დროს ბევრი საბადო შეიძლება ღია წესით დამუშავდეს. ისახება ამოცანა მნიშვნელოვნად გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება კუზნეცკის, ყარაგანდისა და აღმოსავლეთის დანარჩენ აუზებში.

ნავთობი 1960 წელს უნდა ამოვიღოთ 135 მილიონი ტონით, ანუ თითქმის 4,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

წარსული ხუთწლედების მანძილზე ჩვენში შექმნილია ნავთობის მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის საჭირო პირობები. აღმოჩენილია და ამუშავდა ნავთობის ახალი დიდი რაიონები, რის შედეგადაც ნავთობის სამრეწველო მარაგი ომისშემდგომ წლებში გადიდდა 4-ჯერ და უფრო მეტად. შეიქმნა ნავთობის მძლავრი მანქანათმშენებლობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ნავთობის მრეწველობა ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობით.

წარმატებით მიმდინარეობს ნავთობის უმდიდრესი საბადოების ათვისება ურალში და განსაკუთრებით ვოლგისპირეთში. 1960 წელს ამ რაიონებში უნდა მივიღოთ ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მთელი ამოღების 75 პროცენტი.

ჩვენთვის ხელსაყრელია სწრაფი ტემპებით განვავითაროთ ნავთობის მრეწველობა ვოლგისპირეთსა და ურალში. ნავთობის ამოღების თვითღირებულება ამ რაიონში 3-4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნავთობის ძველ რაიონებში.

ჩვენ აღებული გვაქვს ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ნავთობის ამოღების სწრაფი განვითარების კურსი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება შევანელოთ ყურადღება ნავთობის ძველი ბაზებისადმი — ბაქოსა და გროზნოსადმი, რომლებიც საუკეთესო ხარისხის ნავთობს აძლევენ ჩვენს ქვეყანას.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენ სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის დიდი განვითარებისათვის და ამ საქმეში დავადგეთ 3-5-ჯერ უფრო მძლავრ დიდ ნავთობგადამამუშავებელ დანადგართა მშენებლობის გზას, ვიდრე დღემდე შენდებოდა. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაიაფოთ და დავაჩქაროთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა.

ნავთობის ამოღების ზრდის დარგში დიდ დავალებებთან დაკავშირებით საჭიროა ფართოდ განვავითაროთ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება მილსადენებით. დასახულია მეექვსე ხუთწლედში აშენდეს 14.500 კილომეტრზე მეტი, მაგისტრალური მილსადენები. მილსადენის ტრანსპორტის ხვედრითი წონა ნავთობის ტვირთის გადაზიდვის საერთო მოცულობაში ხუთწლედის მანძილზე გადიდდება 2,5-ჯერ და უფრო მეტად.

მეექვსე ხუთწლედში ყოველი ღონისძიებით განვითარდება **გაზის** მრეწველობა. გაზის მოპოვება ხუთწლედში გადიდდება 40 მილიარდ კუბურ მეტრამდე. დაიწყება სამრეწველო დამუშავება გაზის ახალი საბადოებისა: სტავროპოლისა, შებელინკისა ხარკოვთან, სტეპანოვსკისა სარატოვთან და საექსპლოატაციოდ მომზადდება ბერეზოვკის საბადო ობის ქვემო წელში. უნდა აშენდეს დაახლოებით 9 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები.

ელექტროფიკაცია. პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებს ვ. ი. ლენინის მითითებებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ.

1955 წელს საბჭოთა კავშირის ყველა ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 170 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ეს სამნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1940 წელს. მაგრამ ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება დიდი დაძაბულობით კმაყოფილდებოდა.

მეექვსე ხუთწლედში დასახულია ამოცანა უზრუნველვყოთ ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გადიდების სწრაფი ტემპები, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და შევქმნათ ელექტროსიმძლავრეთა რეზერვები. მაშინ როდესაც ხუთ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქცია დიდდება 65 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება უნდა გადიდდეს 88 პროცენტით, ხოლო ელექტროსადგურთა სიმძლავრე 2,2-ჯერ.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. ჰიდროელექტროსადგურები ხელსაყრელია იმით, რომ არ მოითხოვენ სათბობს და იძლევიან ყველაზე იაფ ელექტროენერგიას.

მეექვსე ხუთწლედში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას დიდი ყურადღება დაეთმობა. ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე ხუთწლედის განმავლობაში გადიდდება 2,7-ჯერ.

სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში გაგრძელდება ვოლგისა და კამის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების სამუშაოები. კუიბიშევის, გორკის, სტალინგრადის, მოლოტოვისა და ვოტკინის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრების გარდა, ვოლგაზე გაჩაღდება სარატოვის, ჩებოქსარის და კამაზე — ქვემო კამის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ციმბირში ფართო მასშტაბით გაიშლება გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურების აგების სამუშაოები — ბრატსკისა ანგარაზე და კრასნოიარსკისა ენისეიზე. თვითეული მათგანის სიმძლავრე იქნება 3 მილიონი 200 ათასი კილოვატი და ყოველწლიურად გამომიმუშავებს იმდენსავე ელექტროენერგიას, რამდენსაც კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები ერთად. გათვალისწინებულია ციმბირის სადგურების იაფი ელექტროენერგიის გამოყენება მთელ რიგ ელექტროტევად წარმოებათა ორგანიზაციისათვის.

რაც შეეხება თბოელექტროსადგურების მშენებლობას, აქ ამოცანად ვისახავთ ავაგოთ მძლავრი ელექტროსადგურები 100, 150 და 200-ათასკილოვატიანი აგრეგატებით, რომლებიც იმუშავებენ მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის ორთქლით. ასეთი დიდი ელექტროსადგურები ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნაკლები სიმძლავრის ელექტროსადგურები.

მეექვსე ხუთწლედში უნდა აშენდეს მრავალი ელექტროქსელი. საბჭოთა ენერგეტიკის განვითარების პირველ წლებში სადგურების შეერთება ელექტროქსელებით, ეგრეთწოდებული დარგოლება, წარმოებდა ცალკეული რაიონების ფარგლებში. შემდეგში რაიონულ ენერგოსისტემებს აერთიანებდნენ ერთმანეთთან და ქმნიდნენ სარაიონთაშორისო ენერგეტიკულ სისტემებს.

მეექვსე ხუთწლედში დასახულია საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — შეექმნათ სსრ კავშირის მთელი ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გაგრძელება

სისტემა, რომელიც 400 ათასი ვოლტის ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით გააერთიანებს კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებს ცენტრის, სამხრეთისა და ურალის ენერგოსისტემებთან.

ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგოსისტემით გაერთიანებული ელექტროსადგურები 1960 წელს აწარმოებენ მთელი იმ ელექტროენერგიის დახლოებით ნახევარს, რომელიც იმ დროს გამომუშავდება საბჭოთა კავშირში.

მეექვსე ხუთწლედში დაიწყება ცენტრალური ციმბირის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა. ეს სისტემა ანგარისა და ენისეის ჰიდროელექტროსადგურებს გააერთიანებს კუზბასის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკისა და კრასნოიარსკის თბოელექტროსადგურებთან და ჰიდროელექტროსადგურებთან.

გაერთიანებული ენერგოსისტემების შექმნა მნიშვნელოვნად ადიდებს ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობას, სერიოზულად აუმჯობესებს სადგურების მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებს, შესაძლებლობას იძლევა ვაშენოთ დიდი ელექტროსადგურები საშუალო და მცირე სიმძლავრის მრავალი ნაკლებეკონომიური ელექტროსადგურების ნაცვლად და განვახორციელოთ ელექტროფიკაცია ახალი რაიონებისა, რომლებიც ამჟამად ელექტროენერგიის ნაკლებობას განიცდიან.

მეექვსე ხუთწლედის თვალსაჩინო ფაქტი იქნება ატომის ელექტროსადგურების ფართო მშენებლობა და გამოყენება. დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ორი-ორნახევარი მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის რამდენიმე ატომის ელექტროსადგურის აშენება, რაც თითქმის ერთნახევარჯერ გადააჭარბებს ყველა იმ ელექტროსადგურის სიმძლავრეს, რომელთა მშენებლობა დასახული იყო „გოელროს“ ცნობილი გეგმით.

ქიმიური მრეწველობა. ქიმიის როლი და მნიშვნელობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის სულ უფრო იზრდება. ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება უკვე დიდი ხანია გახდა ტექნიკური პროგრესის აუცილებელი პირობა.

ქიმიური მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა ვერ დაგვაკმაყოფილებს და ამიტომ მეექვსე ხუთწლედისათვის გათვალისწინებულია მისი დაჩქარებული განვითარება.

მრეწველობის ამ დარგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მინერალური სასუქების წარმოების გადიდება, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. 1960 წელს მინერალური სასუქების გამომუშავება უნდა გაიზარდოს თითქმის 20 მილიონი ტონით, რაც 6,5-ჯერ გადააჭარბებს 1940 წლის გამომუშავებას და ერთიორად და მეტად — 1955 წლის გამომუშავებას.

უნდა მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი, უფრო ეფექტიანი შხამქიმიკატების გამოშვება, აგრეთვე სარეველა ბალახებთან საბრძოლველად პრეპარატების წარმოება დიდი მასშტაბებით, რათა უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების გამარგვლაზე შრომის ხარჯვის მკვეთრი შემცირება.

ქიმიური მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ნავთობის და ბუნებრივი გაზებისაგან სინთეზური სპირტის, სინთეზური კაუჩუკის, გამხსნელების, ლაქების წარმოების, საპნის მაღალხარისხოვანი შემცვლელებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების ფართოდ განვითარება. ახლა ამ მიზნებისათვის ჩვენ ვხარჯავთ მარცვლეულს, კარტოფილს და საჰმელ ცხიმეულს. ნავთობისა და ბუნებრივი გაზისაგან სინთეზური პროდუქტების წარმოება საშუალებას მოგვცემს მეექვსე ხუთწლედში ბევრად შევამციროთ, ხოლო შემდეგ მთლიანადაც შევწყვიტოთ მარცვლეულისა და მცენარეული ზეთების ხარჯვა ტექნიკური მიზნებისათვის.

ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა უფრო დიდი მასშტაბებით უნდა გაიაღონ ნედლეულის წარმოება, რომელიც საჭიროა ფართო მოხმარების ისეთი საქონლის გამოსაშვებად, როგორიც არის ხელოვნური აბრეშუმი, ფეხსაცმელი, გალანტერეა. ხელოვნური ბოჭკოს გამომუშავებისათვის სინთეზური მასალების წარმოება განზრახულია ხუთ წელიწადში გადიდდეს თითქმის 6-ჯერ.

უნდა გავაფართოოთ მანქანათმშენებლობისათვის, რადიოტექნიკისა და ავიაციისათვის სინთეზური მასალების ასორტიმენტი და გავადიდოთ მათი გამოშვება, აგრეთვე განვავითაროთ მაღალხარისხოვანი ელექტროსაიზოლაციო მასალებისა და პლასტიკური მასების წარმოება, რომელთა გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მანქანებისა და ნაწარმის წონა და დავზოგოთ ფერადი ლითონები.

სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ განიცდის ავტომობილის შინების მწვავე ნაკლებობას. დირექტივების პროექტით დასახული დავალება, რომ ავტოშინების წარმოება გადიდდეს ერთიორად, ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა უნდა განიხილონ როგორც მინიმალური.

შავი და ფერადი მეტალურგიის, სათბობი და ქიმიური მრეწველობის განვითარება მოითხოვს ნედლეულის მძლავრ ბაზას. ჩვენი ქვეყნის მომპოვებელ მრეწველობას აქვს სხვადასხვა მთამადნეულის უდიდესი გამოკვლეული მარაგი. საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში რკინისა და მარგანეცის მადნის, სპილენძის, ტყვიის, ბოქსიტების, ნიკელის, ვოლფრამის, კალიუმის მარილებისა და ფოსფატის ნედლეულის გამოკვლეული მარაგით.

ფართოდ გაშლილმა **გეოლოგიურ-საძიებო** სამუშაოებმა აღმოაჩინა ქვანახშირის, ნავთობის, შავი, ფერადი მადნების, იშვიათი ლითონებისა და სხვა მთამადნეულის ახალი დიდი მარაგი, რომლის საფუძველზე იქმნება ჩვენი მძიმე მრეწველობის დიდი საწარმოები.

საჭიროა ჯეროვნად დავაფასოთ ჩვენი გეოლოგები. გასულ ხუთწლედში მათ კარგად იმუშავეს და ცუდ შედეგებს როდი მიაღწიეს. მაგალითად, კუსტანაის ოლქში აღმოჩენილია რკინის მადნის, ენერგეტიკული ქვანახშირისა და ბოქსიტების ახალი მძლავრი საბადოები, რომლებიც მდებარეობენ სამრეწველო ათვისებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ რაიონში. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ითქვას რომ გეოლოგიისა და წიაღის დაცვის სამინისტროს მონაცემებით კუსტანაის საბადოების რკინის მადნების მარაგი აღემატება ურალის, მათ შორის მაგნიტნაიას მთის რკინის მადნების გამოკვლეულ მარაგს.

კუსტანაის საბადოების ბაზაზე დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას 10 მილიონი ტონა მადნის წლიური საწარმოო სიმძლავრის რკინის მადნის მრეწველობა, აშენდეს ბოქსიტების დიდი მაღარო, ალუმინის ქარხანა, აგრეთვე დიდი მასშტაბით მოეწყოს ენერგეტიკული ქვანახშირის ამოღება.

აღმოჩენილია კოქსვადი ქვანახშირისა და რკინის მადნების ახალი დიდი საბადოები იაკუტიის ასსრ სამხრეთ რაიონებში და აღმოსავლეთ იმიერბაიკალის რაიონებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი გაზის უდიდესი საბადოების აღმოჩენას უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, სტავროპოლის მხარეში და იმ რაიონში, რომელიც ჩრდილოეთ ურალს ეკვრის.

უკანასკნელი წლების შესანიშნავი აღმოჩენაა ალმასის მდიდარი საბადოების მიგნება იაკუტიის ასს რესპუბლიკაში.

საჭიროა კვლავაც განვაგრძოთ ნავთობის, გაზის, კოქსვადი ქვანახშირის, შავი, ფერადი, იშვიათი ლითონების და სხვა მთამადნეულის ახალი საბადოების ძიება სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ განვახორციელოთ მომპოვებელი მრეწველობის უფრო თანაბარი განლაგება და მთამადნეულის გამოკვლეული მარაგით უზრუნველვყოთ მოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოები მათი მუშაობის ხანგრძლივი ვადით.

მანქანათმშენებლობა. გასულ წელს ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე მანქანათმშენებელი სამინისტროები მკაცრად და სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობისა და ხელსაწყოების დამუშავებასა და წარმოებაში ჩამორჩენისათვის.

მანქანათმშენებლობა, პირველ რიგში ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობა, თავისი განვითარებით წინ უნდა უსწრებდეს მრეწველობის სხვა დარგებს. ამიტომ მეექვსე ხუთწლედში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია დასახულია გადიდდეს 80 პროცენტით.

მანქანათმშენებელი მრეწველობის წინაშე ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას. საჭიროა მოკლე ვადებში აღვჭურვოთ მანქანათმშენებელი ქარხნები მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობით. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა ლითონსაჭრელ ჩარხებს, სამჭედლო-საწნეხე და სამსხმელო მანქანებს, ავტომატურ და ნახევრადავტომატურ ხაზებს.

ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება ხუთწლედში უნდა გადიდდეს თითქმის ერთიორად. ჩარხების საერთო გამოშვებაში ნახევარს მაინც უნდა შეადგენდეს ყველაზე პროგრესული ჯგუფების ლითონსაჭრელი ჩარხები. მაგალითად, მრავალპოზიციური სააგრეგატო ჩარხების წარმოება, რომლებიც იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ დეტალის დამუშავება ერთსა და იმავე დროს ხდებოდეს ბევრი მჭრელი ინსტრუმენტით, უნდა გადიდდეს თითქმის 2,5-ჯერ, ხოლო ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზებისა და მოწყობილობის წარმოება ავტომატური საამქროებისა და ქარხნებისათვის — დაახლოებით 5-ჯერ.

დასახულია ამოცანა, რომ ხუთწლედში სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობის წარმოება გადიდდეს დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო მძიმე წნეხების წარმოება — სულ ცოტა 4-ჯერ. თავისუფალი ჭედვის მოძველებული უროების ნაცვლად უნდა დაინერგოს მექანიკური საჭედი წნეხები რამდენიმე ათასი ტონის სიმძლავრისა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ზუსტი ტვიფრვის დამზადების ახალი პროგრესული ტექნოლოგია, მკვეთრად შევამციროთ ნაწარმის შრომატევადობა და ლითონის ხარჯვა.

სამსმელო საამქროებში მეყალიბეების, მსხმელების, მომჭრელების მძიმე და ნაკლებნაყოფიერი ხელის შრომა საჭიროა შეიცვალოს მანქანების მუშაობით. ამასთან დაკავშირებით 8-ჯერ უნდა გადიდდეს თანამედროვე სამსხმელო მოწყობილობის გამოშვება და დიდი რაოდენობით აშენდეს სპეციალიზებული სამსხმელო საამქროები და ქარხნები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

სამსხმელო წარმოების ხელახლა შეიარაღება ახალ ტექნიკურ ბაზაზე შესაძლებელს გახდის მივიღოთ ზუსტი სხმულები, რომლებიც მოითხოვენ უმნიშვნელო მექანიკურ დამუშავებას. ეს გაათავისუფლებს ათეულ ათასობით ლითონსაჭრელ ჩარხს და დაზოგავს ასეულ ათასობით ტონა ლითონს, რომელიც ამჟამად ნაღლობად იქცევა.

არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დგას მანქანათმშენებლობის წინაშე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის უფრო გაუმჯობესებული მოწყობილობის შექმნის დარგში.

მანქანათმშენებლებმა მეტალურგია უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა დანიშნულების დიდი წარმადობის მექანიზებული და ავტომატიზებული საგლინავი დგანებით, რომლებიც მსოფლიო ტექნიკის საუკეთესო მიღწევათა დონეზე იდგება.

ახალი მძლავრი მანქანები უნდა მიიღოს სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობამ. გასულ ხუთწლედში შეიქმნა მოსიარულე ექსკავატორები — დრაგლაინები 14 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვით. ამ მანქანებს აქვთ 800 კუბური მეტრი გრუნტის წარმადობა საათში. ახალ ხუთწლედში მანქანათმშენებლებმა მეტალურგები, ქვანახშირის მუშაკები და მშენებლები უნდა უზრუნველყონ კიდევ უფრო მძლავრი ექსკავატორებით — საათში 1.200 კუბურ მეტრზე მეტი გრუნტის წარმადობის ექსკავატორებით. ამ ექსკავატორების მომსახურებისათვის საჭირო იქნება 40-50 ტონა ტვირთამწეობის თვითსაცლელი ავტომანქანები. ასეთი მძლავრი ავტოთვითსაცლელები უნდა დაამზადოს საავტომობილო მრეწველობამ მეექვსე ხუთწლედში.

მანქანათმშენებლებმა უნდა გადაჭრან თბოელექტროსადგურებისათვის უმძლავრესი ენერგეტიკული მოწყობილობის შექმნის რთული ამოცანა. უნდა შემუშავდეს კონსტრუქციები და დაიწყოს წარმოება 200-300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ეკონომიური ორთქლის ტურბინებისა საათში 900 ტონამდე ორთქლის წარმადობის ქვაბებთან ბლოკში. ორთქლის წნევა ამ აგრეგატებში მიაღწევს 300 ატმოსფეროს, ხოლო მისი ტემპერატურა — 650 გრადუსს.

გასულ ხუთწლედში ენერგომანქანათმშენებლებმა კუიბიშევის ჰიდროსადგურისათვის შექმნეს 105 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდრავლიკური ტურბინები. მეექვსე ხუთწლედში მათ უნდა შექმნან კიდევ უფრო მძლავრი ტურბინები. ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის საჭირო იქნება ორას-ორასი ათასზე მეტი კილოვატის სიმძლავრის ტურბინები. წარმოდგენას ამ მანქანაზე მოგვცემს შემდეგი შედარება: მარტო ხუთ ასეთ ჰიდროტურბინს აქვს სიმძლავრე, რომელიც უდრის რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს, ხოლო ასეთი ხუთი ტურბინით გამომუშავებული ელექტროენერგია სამნახევარჯერ აღემატება მეფის რუსეთში გამომუშავებულ მთელ ელექტროენერგიას.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდეს ორთქლის, ჰიდრავლიკური და გაზის ტურბინების გამოშვება, აგრეთვე ელექტროგენერატორებისა ტურბინებისათვის, მათ შორის უდიდესი სიმძლავრის — 300 ათას კილოვატამდე ორთქლის ტურბინების გენერატორებისა წყალბადის გაცივების ახალი სისტემით.

ჩარხების, მანქანებისა და სხვადასხვა მოწყობილობის კონსტრუირებისა და წარმოებისას მანქანათმშენებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ლითონის ხვედრითი ხარჯვის შემცირებას მანქანების კონსტრუქციის გაუმჯობესებით, ნაგლინის ეკონომიური პროფილების გამოყენებით და ლითონის პლასტმასებით შეცვლის გზით.

ჩვენ წარმატებით ვერ დადავჭრით საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, თუ საკმაო რაოდენობით არ გვექნა სულ სხვადასხვა და სრულყოფილი ხელსაწყოები და რადიოტექნიკური ნაკეთობანი. ამიტომ მეექვსე ხუთწლედში საჭიროა სწრაფი ტემპებით განვავითაროთ ხელსაწყოთმშენებლობა და რადიოტექნიკური მრეწველობა.

ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა გასაფართოებლად აშენდება 32 სპეციალიზებული ქარხანა და განმტკიცდება სამეცნიერო-საკვლევი და ლაბორატორიული ბაზა.

მრეწველობის ამ დარგის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო გაიყო ორ სამინისტროდ — ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტროდ და მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო ამოცანაა უზრუნველყოს მეცნიერებისა და წარმოების საჭიროებანი სწრაფადმოქმედი საანგარიშო-მათემატიკური მანქანების საკმაო რაოდენობით, რომლებიც წარმოადგენენ გამოსათვლელ სამუშაოთა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ახალ საშუალებას.

რადიოტექნიკური მრეწველობის მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მაღალი ხარისხის ახალი ნახევრად გამტარი ხელსაწყოების შექმნას, რომლებიც წარმატებით ცვლიან რადიოლამპებს მთელ რიგ შემთხვევებში. ნახევრად გამტარი ხელსაწყოები, რომლებსაც მნიშვნელოვნად ნაკლები ოდენობა და წონა აქვთ, ვიდრე რადიოლამპებს, აძლიერებენ რადიოაპარატურის, საანგარიშო-მათემატიკური მანქანებისა და სხვა დანადგარების მუშაობის საიმედოობას.

ნახევრად გამტარი ხელსაწყოები იმის ღირსია, რომ მათზე სერიოზულად იმუშაონ. მაგრამ რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტრო შეუწყნარებლად ნელა ეწევა მათი წარმოების ათვისებას, ხოლო ფერადი მეტალურგიის სამინისტრო სრულიად არასაკმაო რაოდენობით აწარმოებს ამ მიზნებისათვის ქიმიურად წმინდა მასალებს.

მეხუთე ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა **საშენი მასალების** წარმოება. მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მათზე ჯერ მთლიანად ვერ კმაყოფილდება. დიდად საგრძნობია ცემენტის, საკედლე და სახურავი მასალების და ფანჯრის მინის საჭიროებაც კი.

ჩქარა, იაფად და კარგად რომ ვაშენოთ, საჭიროა, და ახლა ეს უკვე ყველამ იცის, ფართოდ გამოვიყენოთ ინდუსტრიული მეთოდები და მკვეთრად გავადიდოთ ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენება, რაც ბევრ ცემენტს მოითხოვს.

1940 წელს ჩვენ დავამზადეთ 6 მილიონამდე ტონა ცემენტი, 1955 წელს — 22 მილიონ ტონაზე მეტი, ხოლო 1960 წელს ცემენტის წარმოება დასახულია ავიყვანოთ 55 მილიონ ტონამდე. შესადარებლად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1955 წელს დაამზადეს 52 მილიონამდე ტონა ცემენტი.

მეექვსე ხუთწლედში თითქმის 6-ჯერ გადიდდება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება, ერთიორად და მეტად მოსაპირკეთებელი მასალების, შიფერის, სანიტარიულ-ტექნიკური ნაწარმისა და სხვა საშენი მასალების წარმოება.

სატყეო მრეწველობა. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა ხე-ტყის მარაგით. ხე-ტყეს ჩვენში დიდი მასშტაბით ვამზადებთ. მაგალითად, შარშან დამზადდა და გამოზიდულ იქნა 300 მილიონამდე კუბური მეტრი მერქანი.

მაგრამ ხე-ტყის მასალები არა გვყოფნის და უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ მეტად არამომჭირნედ ვხარჯავთ მას. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ტყეს ისე მფლანგველურად არ ეპყრობიან, როგორც ჩვენში. 1 მილიონ მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ჩვენი მშენებლები ხარჯავენ 480 კუბურ მეტრ მერქანს, ხოლო, მაგალითად, ჩვენი მეგობრები — სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მნიშვნელოვნად ნაკლებს ხარჯავენ.

ხე-ტყე უნდა დავზოგოთ და, პირველ რიგში, ბეტონისა და რკინაბეტონის უფრო ფართოდ გამოყენებით.

ხე-ტყით სახალხო მეურნეობის მომარაგებაში შეფერხებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ ხეტყის ძირითადი დამამზადებელი — სატყეო მრეწველობის სამინისტრო სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმას. მარტო მეხუთე ხუთწლედის წლებში ამ სამინისტრომ სახალხო მეურნეობას დააკლო 80 მილიონამდე კუბური მეტრი სამასალე მერქანი.

ამავე დროს, სატყეო მრეწველობის სამინისტროს მუდმივ დახმარებას ვუწევდით და ვუწევთ საწარმოო ბაზის განვითარებაში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სატყეო მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 12,5 მილიარდი მანეთი. ხე-ტყის დამზადების ძირითადი პროცესების მექანიზაცია მნიშვნელოვნად გადიდდა. მაგრამ სატყეო მრეწველობის სამინისტრო ჯერ კიდევ ცუდად ახორციელებს დამხმარე შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციას და ამიტომ ბევრი ძუშა ტყეში ხელით მუშაობს.

გათვალისწინებულია, რომ მეექვსე ხუთწლედში სატყეო მრეწველობის სამინისტრომ სამასალე მერქნის გამოზიდვის მოცულობა უნდა გაადიდოს 42 პროცენტით, უმთავრესად მრავალტყიან რაიონებში, და მნიშვნელოვნად განავითაროს იქ ხე-ტყის დახერხვა.

სატყეო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაამთავროს ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და გადავიდეს მთელი წლის მუშაობაზე ტყეში მუშების მუდმივი კადრებით.

სატყეო მრეწველობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია **ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა.**

გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში გაჩაღდეს ცელულოზის ახალი ქარხნების, მუყაოს ფაბრიკების მშენებლობა და რეკონსტრუირებულ იქნას ცელულოზისა და ქაღალდის მთელი რიგი მოქმედი საწარმოები, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ცელულოზისა და ქაღალდის გამოშვება. სასტამბო და გაზეთის ქაღალდის წარმოება უნდა გადიდდეს ერთნახევარჯერ და მეტად, ხოლო მუყაოსი — 2,8-ჯერ.

წინათ ჩვენ ცელულოზის ქარხნებსა და ქაღალდის ფაბრიკებს ვაშენებდით უმთავრესად ტყიან რაიონებში და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში შორ მანძილზე გადაგვქონდა დიდძალი ქაღალდი და მუყაო. მეექვსე ხუთწლედში ცელულოზისა და მუყაოს საწარმოთა მშენებლობა უნდა გავშალოთ უტყეო რაიონებშიც, ლელის დიდი რესურსების გამოყენების ბაზზე. ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ქაღალდისა და მუყაოს რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში და შევამციროთ ამ პროდუქციის გადაზიდვა შორ მანძილზე.

ქაღალდის მრეწველობამ ფართოდ უნდა გაშალოს ტარის მუყაოს წარმოება, რათა მეექვსე ხუთწლედში ხის ტარის დაახლოებით ნახევარი მუყაოს ტარით შეიცვალოს. ამით ჩვენ ყოველწლიურად დავზოგავთ 7 მილიონამდე კუბურ მეტრ მერქანს.

მეექვსე ხუთწლედში უნდა გადაწყდეს **მსუბუქი** და **კვების** მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგში წარმოების ფართოდ გაშლის ამოცანა. ამით ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგმება წინ სამრეწველო და სასურსათო საქონლით შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველყოფაში. ამისათვის ყველა პირობა გვაქვს.

სწრაფად მზარდი მძიმე ინდუსტრია მსუბუქი მრეწველობის როგორც მოქმედ, ისე მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოებს უზრუნველყოფს ტექნიკურად სრულყოფილი მანქანებით, მოწყობილობით, აპარატურით. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, კვების, ხორცისა და რძის, საკონსერვო და მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა დარგების მომარაგება ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

კვების მრეწველობის მუშაკებმა დიდად უნდა გაზარდონ ხორცისა და ხორცის პროდუქტების, ერბო-კარაქის, ყველის, რძისა და რძის პროდუქტების, თევზისა და თევზპროდუქტების, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, აგრეთვე ყველა სახეობის კონსერვების წარმოება. ამასთან დაკავშირებით უნდა ავაგოთ ბევრი ახალი საწარმო როგორც ქალაქებში, ისე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების რაიონებში.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საწარმოთა მუშაკების წინაშე. მათ ერთნახევარჯერ და უფრო მეტად უნდა გააფართოონ ფეხსაცმლისა და შეკერილი ნაწარმის წარმოება, მკვეთრად გაადიდონ წარმოება სელის ქსოვილებისა და განსაკუთრებით უმაღლესი ხარისხის შალის ქსოვილებისა, რომლებზეც მოთხოვნილება მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

განსაკუთრებით დიდი მასშტაბით უნდა გაჩაღდეს ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს წარმოება. მეექვსე ხუთწლედში ხელოვნური ბოჭკოს წარმოება უნდა გავადიდოთ სულ ცოტა სამჯერ, ხოლო სინთეზური ბოჭკოსი — ხუთჯერ.

დიდად უნდა გაიზარდოს ისეთი საქონლის წარმოება, როგორიც არის საათები, ველოსიპედები და მოტოციკლები, საკერავი და სარეცხი მანქანები, რადიომიმღებები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სხვა საოჯახო საგნები.

სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებასთან ერთად მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და მისი დროზე გამოშვება. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დროზე, სეზონისათვის იყიდოს ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი.

მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის მუშაკები მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება, ყოველი ღონისძიებით დანერგონ მოწინავე ტექნოლოგია, მკვეთრად შეამცირონ ნედლეულის დანაკარგები წარმოებაში.

ასეთია, ამხანაგებო, მეექვსე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები მრეწველობის ცალკეულ დარგებში.

ტექნიკური პროგრესი მრეწველობაში

წინა ხუთწლედების მანძილზე სამრეწველო წარმოების ტექნიკა ჩვენში დიდად განვითარდა. მაგრამ ახლა ეს უკვე სრულიადაც აღარ არის საკმარისი. ტექნიკა ერთ ადგილზე ვერ გაჩერდება, იგი მუდამ უნდა მიდიოდეს წინ. მხოლოდ ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგად შევძლებთ მოკლე ვადებში მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და წარმოების მოცულობა. ამიტომ მრეწველობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის ამოცანებს, რომლებიც დირექტივების პროექტია ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა მრეწველობის დარგში, სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებასთან ერთად, არის წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, დაუცხრომელი ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის.

რით გამოიხატება ტექნიკური პროგრესი მრეწველობაში თანამედროვე ეტაპზე?

ტექნიკური პროგრესი განუყრელად დაკავშირებულია ელექტროფიკაციასთან და, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება მანქანებისა და მოწყობილობის პარკის მუდმივი გაუმჯობესებით, წარმოების ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვით, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციით და ავტომატიზაციით, არსებული ნედლეულის და ენერგეტიკული რესურსების ყველაზე სრული და რაციონალური გამოყენებით და ყოველივე ამის შედეგად მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების განუწყვეტელი გადიდებით.

მაგრამ ტექნიკა — მანქანები, ჩარხები და სხვა მოწყობილობა — საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამ ტექნიკის სწორად გამოყენებისათვის, ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფისათვის საჭიროა მუდმივად ვზრუნავდეთ მაღალკვალიფიციური მუშების, ტექნიკოსების, ინჟინრების, მეცნიერების კადრების მომზადებისათვის, განუწყვეტლივ ვავითარებდეთ მეცნიერებას, სრულყოფდეთ წარმოების ორგანიზაციას.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი, რომლებიც ცწადყოფენ ჩვენს მნიშვნელოვან წარმატებებს ტექნიკურ პროგრესში. მაგრამ დღეს ამაზე როდი უნდა იქნეს ლაპარაკი. ახლა საჭიროა ყველა ღონისძიება წარვმართოთ იქითკენ, რომ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ამ საქმეში და უზრუნველვყოთ მეექვსე ხუთწლედში სწრაფი ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ფე 00647 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.